

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1 2023 წლის 14 თებერვალი

დაბა ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

დანართი

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსავლები	18955.3	13722.2	8003.3	5718.9	18047.8	13152.4	4895.4
გადასახადები	6998.6	6527.8	6527.8	0.0	9646.1	9646.1	0.0
გრანტები	10695.6	5751.5	32.6	5718.9	6195.4	1300.0	4895.4
სხვა შემოსავლები	1261.1	1442.9	1442.9	0.0	2206.3	2206.3	0.0
ხარჯები	9687.2	9827.5	8577.5	1250.0	13137.5	12732.7	404.8
შრომის ანაზღაურება	4848.9	5210.0	4627.1	582.9	7856.1	7611.5	244.6



საქონელი და მომსახურება	3249.4	3337.1	2702.6	634.5	3712.4	3587.2	125.2
პროცენტი	42.9	21.7	21.7	0.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	159.9	179.1	179.1	0.0	270.0	270.0	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	725.6	638.1	629.7	8.4	880.4	865.4	15.0
სხვა ხარჯები	660.5	441.5	417.3	24.2	383.6	363.6	20.0
<u>საოპერაციო სალდო</u>	<u>9268.1</u>	<u>3894.7</u>	<u>-574.2</u>	<u>4468.9</u>	<u>4910.3</u>	<u>419.7</u>	<u>4490.6</u>
<u>არაფინანსური აქტივების ცვლილება</u>	<u>7412.7</u>	<u>5160.7</u>	<u>360.2</u>	<u>4800.5</u>	<u>8089.8</u>	<u>859.5</u>	<u>7230.3</u>
ზრდა	7624.7	5248.0	447.5	4800.5	8389.8	1159.5	7230.3
კლება	212.0	87.3	87.3	0.0	300.0	300.0	0.0
<u>მთლიანი სალდო</u>	<u>1855.4</u>	<u>-1266.0</u>	<u>-934.4</u>	<u>-331.6</u>	<u>-3179.5</u>	<u>-439.8</u>	<u>-2739.7</u>
<u>ფინანსური აქტივების ცვლილება</u>	<u>1772.5</u>	<u>-1307.5</u>	<u>-975.9</u>	<u>-331.6</u>	<u>-3262.5</u>	<u>-522.8</u>	<u>-2739.7</u>
ზრდა	2601.8	1313.4	-385.8	1699.2	0.0	0.0	0.0
კლება	829.3	2620.9	590.1	2030.8	3262.5	522.8	2739.7
<u>ვალდებულებების ცვლილება</u>	<u>-82.9</u>	<u>-41.5</u>	<u>-41.5</u>	<u>0.0</u>	<u>-83.0</u>	<u>-83.0</u>	<u>0.0</u>
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
<u>ბალანსი</u>	<u>0.0</u>	<u>0.0</u>	<u>0.0</u>	<u>0.0</u>	<u>0.0</u>	<u>0.0</u>	<u>0.0</u>



მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსულობები	19167.3	13809.5	8090.6	5718.9	18347.8	13452.4	4895.4
შემოსავლები	18955.3	13722.2	8003.3	5718.9	18047.8	13152.4	4895.4
არაფინანსური აქტივების კლება	212.0	87.3	87.3	0.0	300.0	300.0	0.0
გადასახდელები	17394.8	15117.0	9066.5	6050.5	21610.3	13975.2	7635.1
ხარჯები	9687.2	9827.5	8577.5	1250.0	13137.5	12732.7	404.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	7624.7	5248.0	447.5	4800.5	8389.8	1159.5	7230.3
ვალდებულებების კლება	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
ნაშთის ცვლილება	1772.5	-1307.5	-975.9	-331.6	-3262.5	-522.8	-2739.7

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 18047,8 ათასი ლარით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
<u>შემოსავლები</u>	<u>18955.3</u>	<u>13722.2</u>	<u>8003.3</u>	<u>5718.9</u>	<u>18047.8</u>	<u>13152.4</u>	<u>4895.4</u>
გადასახადები	6998.6	6527.8	6527.8	0.0	9646.1	9646.1	0.0
გრანტები	10695.6	5751.5	32.6	5718.9	6195.4	1300.0	4895.4
სხვა შემოსავლები	1261.1	1442.9	1442.9	0.0	2206.3	2206.3	0.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 9 646,1 ათასი ლარით.

<u>გადასახადები</u>	<u>6998.6</u>	<u>6527.8</u>	<u>6527.8</u>	<u>0.0</u>	<u>9646.1</u>	<u>9646.1</u>	<u>0.0</u>
ქონების გადასახადი	2422.2	2118.0	2118.0	0.0	2300.0	2300.0	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2422.2	2118.0	2118.0	0.0	2300.0	2300.0	0.0



უცხოური საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
სხვა გადასახადები (დღგ)	4576.4	4409.8	4409.8	0.0	7346.1	7346.1	0.0
გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზარდზე							

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს **6195,4** ათასი ლარით.

<u>გრანტები</u>	<u>10695.6</u>	<u>5751.5</u>	<u>32.6</u>	<u>5718.9</u>	<u>6195.4</u>	<u>1300.0</u>	<u>4895.4</u>
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	618.7	688.0	0.0	688.0	275.0	0.0	275.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0		0.0	0.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი	1000.0	1050.0	0.0	1050.0	1300.0	1300.0	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	9030.7	3980.9	0.0	3980.9	4620.4	0.0	4620.4
გრანტები მიმდინარე დანიშნულების	46.2	32.6	32.6	0.0	0.0		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს **2206,3** ათასი ლარით.

<u>სხვა შემოსავლები</u>	<u>1261.1</u>	<u>1442.9</u>	<u>1442.9</u>	<u>0.0</u>	<u>2206.3</u>	<u>2206.3</u>	<u>0.0</u>
შემოსავლები საკუთრებიდან	1110.8	1226.1	1226.1	0.0	1611.3	1611.3	0.0
პროცენტები	48.3	25.5	25.5	0.0	30.0	30.0	0.0
დივიდენდები		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
რენტა	1062.5	1200.6	1200.6	0.0	1581.3	1581.3	0.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის	986.0	1134.0	1134.0	0.0	1511.3	1511.3	0.0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით							



სარგებლობისთვის	814.2	1034.2	1034.2	0.0	1200.0	1200.0	0.0
მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისთვის	20.2	4.3	4.3	0.0	200.0	200.0	0.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის	8.7	8.6	8.6	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	142.9	86.9	86.9	0.0	111.3	111.3	0.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	76.5	66.6	66.6	0.0	70.0	70.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	31.4	41.0	41.0	0.0	65.0	65.0	0.0
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	31.4	41.0	41.0	0.0	65.0	65.0	0.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	8.2	9.1	9.1	0.0	35.0	35.0	0.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	15.1	28.0	28.0	0.0	30.0	30.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	8.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	3.9	3.9	0.0	0.0	0.0	0.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	82.0	155.8	155.8	0.0	500.0	500.0	0.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში		102.9	102.9	0.0	495.0	495.0	0.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	82.0	52.9	52.9	0.0	5.0	5.0	0.0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	36.9	20.0	20.0	0.0	30.0	30.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 13 137,5 ათასი ლარით.

ხარჯები	9687.2	9827.5	8577.5	1250.0	13137.5	12732.7	404.8
----------------	---------------	---------------	---------------	---------------	----------------	----------------	--------------



შრომის ანაზღაურება	4848.9	5210.0	4627.1	582.9	7856.1	7611.5	244.6
საქონელი და მომსახურება	3249.4	3337.1	2702.6	634.5	3712.4	3587.2	125.2
პროცენტი	42.9	21.7	21.7	0.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	159.9	179.1	179.1	0.0	270.0	270.0	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	725.6	638.1	629.7	8.4	880.4	865.4	15.0
სხვა ხარჯები	660.5	441.5	417.3	24.2	383.6	363.6	20.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **8089,8** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **8389,88** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **300,0** ათასი ლარით.

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პრიორიტეტების მიხედვით მიხედვით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი	2023 წლის პროგნოზი
01 00	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2.1	8.5	235.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6896.1	5105.4	7728.3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4.1	0.0	20.0
04 00	განათლება	416.5	115.7	260.5
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	305.9	18.4	146.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ	7624.7	5248.0	8389.8

არაფინანსური აქტივების კლება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი	2023 წლის პროექტი
ძირითადი აქტივები	5,3	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	206,7	87,3	300,0
სულ	212,0	87,3	300,0



მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი	2023 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2940.6	2915.6	4756.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2813.3	2852.0	4756.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2686.0	2852.0	4586.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	50.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	127.3	63.6	120.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	121.3	123.4	188.7
7 02 5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	121.3	123.4	188.7
704	ეკონომიკური საქმიანობა	6713.5	5243.8	7873.3
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	4171.0	3418.9	3204.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4171.0	3418.9	3204.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2542.5	1824.9	4669.3
705	გარემოს დაცვა	553.2	933.5	1080.0
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	523.2	888.1	1000.0
7 05 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	30.0	45.4	80.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1066.0	406.2	590.2
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	71.2	0.0	35.0
7063	წყალმომარაგება	595.7	0.0	50.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	399.1	406.2	505.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	168.7	126.0	200.0



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	168.7	126.0	200.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2365.1	2351.3	2997.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	891.4	766.8	998.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1451.6	1557.9	1868.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	22.1	26.6	130.0
709	განათლება	2391.1	2022.7	2610.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	1464.5	1342.3	2339.5
7092	ზოგადი განათლება	924.1	679.7	234.8
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2.5	0.7	36.4
710	სოციალური დაცვა	1075.3	994.5	1314.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1075.3	994.5	1314.0
	სულ	17394.8	15117.0	21610.3

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს **-3179,5** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **4910,3** ათასი ლარით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,268.1	3,894.7	4,910.3
მთლიანი სალდო	1,855.4	-1,266.0	-3,179.5

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **3262,5** ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების კლება **3262,5** ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2023 წლის განმავლობაში.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის 9 თვის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ზრდა	2601.8	1313.4	0
კლება	829.3	2620.9	3262.5
სულ ფინანსური აქტივების ცვლილება	1772.5	-1307.5	-3262.5



მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - **83.0** ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, შეიქმნას სარეზერვო ფონდი **50.0** ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონის განკარგვის წესის“ შესაბამისად მერის მიერ;

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 275.0 ათასი ლარი მიიძღვრება:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 130.0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 130,0 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10.0 ათასი ლარი;
- დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **8473,5** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8473,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3204,0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	50,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	3154,0



02 02	გარე განათება	505.2
02 02 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	120.2
02 02 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	5.0
02 02 03	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	380.0
02 03	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2002,6
02 03 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1339,8
02 03 04	ჩოხატაური მდგრადი ენერჯეტიკული მომავლისათვის	612,8
02 03 03	წყლის სისტემის მოწყობა	50,0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	756,8
02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	200.0
02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	1769,9
02 07	ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	35,0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		3204,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება.		
მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		50.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, შიდა გზების მოხრეშვა, ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან და ჩამონაშალი კლდოვანი ნარჩენებისაგან გზების განთავისუფლება.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		3154,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდება სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვემო ონჭიქედში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ბუკისციხის ადმ. ერთეულში, ვანის ადმ. ერთეულში, ვანსა და ზომლეთის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ შუა ფარცხმისა და დაბის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები, დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩაზე სკვერის და სტადიონის და გურიის ქუჩაზე გზის ა/ზეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, ფარცხმის ადმ. ერთეულში ხანის გზის რეაბილიტაცია, ამაღლება-სამების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ბასილეთში შიდა გზების რეაბილიტაცია, სოფელ წიფნარში სკოლიდან უჩა კიკვაძის მიმართულებით ა/ზეტონის მოწყობის სამუშაოები;სოფელ ხევში (ა. მეფარიშვილის უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. სოფელ ინტაბუეთში საავტომობილო გზაზე ა/ზეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		505,2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა და ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსება. რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება და ზოგ შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. 		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		120.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. სამსახურის ერთ ერთი მთავარი საქმიანობაა გარე განათების ქსელის მოვლა- შენახვა- ექსპლუატაცია რაც სამსახურის მიერ აქტიურად ხორციელდება, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ექსპლოატაციაშია 4200 გარე განათების ფარი თავის აღრიცხვის კვანძებით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული ნათურების შეცვლა • დაზიანებული და უვარგისი განათების ბოძების შეცვლა • დაზიანებული (მ.შ სტიქისგან) სადენების შეცვლა აღდგენა • აღრიცხვის კვანძების აღდგენა - განახლება • გარე განათების ქსელის მუდმივი მეთვალყურეობა • ელექტრო სათადარიგო ნაწილების შეძენა დასაწყობება <p>2023 წლის მანძილზე გარე განათების ქსელი იფუნქციონირებს გამართულად.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	2023 წელში განხორციელდება გარე განათების ახალი ბოძების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება).		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ახალი სანათები და გაზრდილია გარე განათებით უზრუნველყოფილი გზების მონაკვეთი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		380.0
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		



განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ელექტრო ენერჯის ხარჯი 330,0 ათასი ლარის ოდენობით.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია დროულად გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი ელ. ენერჯის ხარჯის გადახდა.

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		2002,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.		
მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		1339,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: მოხდება არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სოფელ ხიდისთავში ახალი ამბულატორიის მშენებლობა. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.		



მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.
-----------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 04		612,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ევროკომისიის გამოცხადებულ კონკურსში „ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ გაიმარჯვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ფონდების მოძიების სამუშაო ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის სახელით წარდგენილმა პროექტმა „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისაკენ“ პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 772 117 ევროს, რომელიც მოიცავს შემდეგ დასაფინანსებელ ქმედებებს: 7 საბავშვო ბაღის ენერგეტიკულად აღჭურვა, მცირე საგრანტო პროგრამები, ტრენინგებს და ვორკშოპებს ახალგაზრდებისათვის, სკოლის მოსწავლეებისათვის. უდაბნოს მიმართულებით ლედ განათების მოწყობას და ახალგაზრდული ცენტრისთვის ინვენტარის შეძენას. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსებას პროექტის ღირებულების 7% ოდენობით.</p> <p>პროექტი განხორციელდება 3 წლის განმავლობაში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	7 ენერგოეფექტურად აღჭურვილი საბავშვო ბაღი. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახაკაზრდული ცენტრი, უდაბნოს მიმართულებით ლედ ნათურებით მოწყობილი ქსელი. მცირე საგრანტო პროგრამის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წყაროების, როგორც ეფექტური ენერჯის და ხარჯების შემცირების მექანიზმების პოპულარიზაციას ფიზიკური პირებისთვის, მეწარმეებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ენერგოეფექტურობის სფეროში		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 03		50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოხდება არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდება სარემონტო სამუშაოები..		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული წყალგაყვანილობა		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება ათას ლარში
	02 04		756,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (საერთო კრებაზე) მოსახლეობასთან შეხვედრისას, შეთანხმებით განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება.	
მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია მოსახლეობის მოთხოვნები.	

დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		200.0
პროგრამის განმახორციელებელი		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.	
მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		1769,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.	
მოსალოდნელი შედეგი		ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა.	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		35,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურისტების რაოდენობის გაზრდა. უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული პირობები და გაზრდილი ტურისტების რაოდენობა მ.შ. ზამთრის სეზონზეც.		
მოსალოდნელი შედეგი	კო უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გაზრდილია ტურისტების რაოდენობა.		

მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1080,0** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1080,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1000,0
03 02	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა	80,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1000,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმ. ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 320 ერთეული ნაგავმემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაბის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემოსავლელ და გასასვლელ მთავარ გზაზე ასევე ბახმაროს სეზონზე კურორტისკენ მიმავალ გზაზე გადაყრილი ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, დასუფთავება, მოცეცვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროულად განხორციელდება ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის დაბისა და ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		80,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა კერძოდ გასვლა-ფორმირება, შებარვა, გაცეცვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.</p> <p>ასევე, ხორციელდება დუმბადის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე ხე-მცენარეების შეთეთრების სამუშაოები.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკვერები და პარკები იქნება მოვლილი და დასუფთავებული</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეცვითი სამუშაოები.		

მუხლი 18. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2610,7** ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
04 00	განათლება	2610,7
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2123,5
04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	234,8
04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა.	36,4



პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2123,5
პროგრამის განმახორციელებელი		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“	
პროგრამის აღწერა და მიზანი		სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს მიზანია ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება, მისი საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, ტოლერანტობის და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა, ნებისყოფის ფორმირება, სხვისი აზრის პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ოჯახთან ურთიერთკავშირი. საბავშვო ბაღები ახორციელებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამებს სასკოლო ასაკის მიღწევამდე. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 600 ბავშვი. სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 262 თანამშრომელი. მ.შ. 58 აღმზრდელი 42 აღმზრდელის თანაშემწე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა. ბაგა-ბაღების შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.	
მოსალოდნელი შედეგი		გაუმჯობესებულია საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი; სრულყოფილია განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;	

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების სისტემის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		234,8
პროგრამის განმახორციელებელი		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა და მიზანი		გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. საჯარო სკოლების წარჩინებულ (ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები) კურსდამთავრებულთა წახალისება.	
მოსალოდნელი შედეგი		საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		36,4
პროგრამის განმახორციელებელი		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა და მიზანი		საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება	



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დადასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	დაფინანსება ათას ლარში
	04 06		216,0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფელ ზემო სურებში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება საბავშვო ბაღებში სამუშაო და სასწავლო პირობები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. სოფელ ზემოსურებში ახალი საბავშვო ბაღის მსენებლობა.		

მუხლი 19. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2997,3** ათასი ლარი. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, გენდერული თანასწორობის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
05 00	კულტურა, რელიგია , ახალგაზრდობა და სპორტი, გენდერული თანასწორობა	2997,3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	998,8
05 01 04 03	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო	200,0
05 01 05	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	520,0
05 01 06 01	ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი	50,0
05 01 07	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“	160,0
05 01 06	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	68,8
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1868,5
05 02 01 02	კულტურის ცენტრი	1015,0
05 02 09	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები	409,5
05 02 10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	444,0



05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	80,0
05 03 01	ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა	50,0
05 03 02	საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა	30,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0
05 05	გენდერული თანასწორობა	30,0
05 05 01	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა	20,0
05 05 02	ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	10,0
05 06	მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება	10,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		998,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო , ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კუბი „ლონე“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოზარდებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და სპორტის პოპულარიზაცია, სპორტულად აქტიური ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04 03		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვთა სამი ასაკობრივი გუნდი: U-13, U-15 და „ბახმარო-2“, რომელთა სპორტული მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა: ასაკობრივი ჯგუფი U-13 ჩასატარებელი მატჩი 2023 წლისათვის-20 მატჩი, მიზანი-სამეულში მოხვედრა; ასაკობრივი		



მოსალოდნელი შედეგი	ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		520,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :</p> <ul style="list-style-type: none"> • ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა. • ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა. • ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება. • მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა. • საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები. • მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. • ტრადიციული დოდი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით. • აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში. • ბაზიერება - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები. • აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ტაილანდური კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. 		
მოსალოდნელი შედეგი	დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 06		68,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • ქვეპროგრამის მიზანია სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. სპორტული მოედნების მზადყოფნა დაგეგმილი და ჩასატარებელი მატჩებისათვის და ღონისძიებებისათვის. 		
მოსალოდნელი შედეგი	დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	05 01 06 01	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	50,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფორმირების წესის შესაბამისად ჩატარდა ხმის მიცემის პროცესი და გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი „საფეხბურთო მოედანი დაბის ცეტრში“.</p> <p>სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ჩოხატაურში მდებარე მინი-საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია, შეიცვლება ხელოვნური საფარი მაღალი ხარისხის საფარით, მოხდება საფეხბურთო კარების რეკონსტრუქცია და შეღებვა, მოეწყობა კალათბურთის ფარები (2-2 კომპლექტი), პლასტიკის დასაჯდომი სკამები მოეწყობა ლითონკონსტრუქციაზე, დასაჯდომების წინ მავთულბადის ღობის მოწყობა, საფეხბურთო მოედანი შემოღობილია მავთულბადით და მოხდება მისი შეღებვა ანტისაპტიკური ზეთოვანი საღებავით. მოედნის გვერდით მოეწყობა გარე ტრენაჟორები და სასმელი წყლის სოკო.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და დ.ჩოხატაურში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო.</p> <p>დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 07		160,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“ სარაგბო კლუბი „ლონე“ მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1868,5
პროგრამის	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის		



განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისა და სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა გასართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		1015,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საშობაო, საახალწლო კონცერტი „შობის ჯადოსნური ღამე“ 6-7 იანვარი. • წლის ნომინაციები 14 იანვარი. • დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 3 მარტი. • თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია 27 მარტი. • „დღე სამაგალითო ერთობის“ 27 მარტი. • დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 14 აპრილი. • ღონისძიება ღია ცის ქვეშ - „აღდგომის კვირა“ • დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 26 მაისი. • „ვაჩუქოთ ბედნიერება ბავშვებს“ 1 ივნისი. • „ვერეს ხეობის ტრაგედია“ - ივლიტა ჯიბუტის ხსოვნის საღამო 13 ივნისი. • „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“ 14 ივნისი. • სპექტაკლის პრემიერა. • ანსამბლებისა და სახალხო თეატრის გასვლითი კონცერტები სოფლებში • ფერცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება კურორტ ბახმაროში - 19 აგვისტო. • ლოტბარ რამინ მიქაბერიძის საღამო. • შემოდგომის ზეიმი. • გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი 23 ნოემბერი. • საანგარიშო კონცერტი. • კონცერტი ღია ცის ქვეშ 31 დეკემბერი. 		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		409,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები		
	მოსწავლეების მუსიკალურ ცოდნის გააღრმავება სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.		



ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გაადრმავებენ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.

მოწყობა:

- მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“
 - მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები: მე-15 რესპუბლიკურ ფესტივალი შესარჩევ ტურში.
 - მონაწილეობის მიღება ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო გამოფენა კონკურსში „ლიდიცე-2023“
 - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და სარაიონო ღონისძიება
 - სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი სინფონიურ ორკესტრთან ერთად
 - კონკურსი ეტიუდების დაკვრაში
 - გიორგობისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი
 - ღია საკარნავალო კონცერტი
- საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები“ მე-15 რესპუბლიკურ ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა.
- საგაზაფხულო ერთკვირიანი პლენერი ბუნებაში
- მონაწილეობის მიღება საქართველოს საგუნდო საზოგადოების, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-6 ეროვნული კონკურსში.
- თბილისში კომპანია „კრეატივ-ივენთის“ მიერ ორგანიზებულ ბავშვთა და მოზარდთა გამოფენაზე მონაწილეობა
 - საქართველოს მოსწავლეთა 76-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია.
 -
 - პროექტი „მეგზური“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურულ ძეგლებსა და ისტორიულ ადგილებზე ინფორმაციის მოძიება, შესწავლა.
 - „ჩვენც დავებრდებით“ საქველმოქმედო აქცია
 - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და მუნიციპალური ღონისძიება

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შედეგი

გადრმავებულია მოზარდებში მუსიკალურ ცოდნა სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 10		444.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლების განვითარება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საახალწლო ღონისძიება • შეხვედრა ღვაწლმოსილ ადამიანებთან • 25 თებერვალი - ოკუპაციის დღე • ჩოხატაურში მცხოვრები მხატვრების კატალოგის გამოცემა • რეწვის ნიმუშების გამოფენა „ფერისცვალება“ • ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა • კალანდა გურიაში <p>საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავშირებით</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო ღონისძიება „წკეპლის ჭურჭელი“ • სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა • საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავშირებით. 		



- მთის საერთაშორისო დღე - ზემო გურის მთიანი სოფლების ისტორია
- მოსე გოგიბერიძის საიუბილეო საღამო
- ნოდარ დუმბაძის იუბილე
- საჯარო ლექცია ერისთავების შესახებ
- საჯარო ლექცია ნიკო მარის სახლ-მუზეუმში.
- საუბრები მწერლის სახლ-მუზეუმში-შეხვედრა მწერლებთან.

მოხდება საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შეძენა, რაც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მოსალოდნელი შედეგი

დაცულია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება.</p> <p>ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები დაფინანსებულია.</p> <p>გაზრდილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ღონისძიებებში ჩართულობა და უზრუნველყოფილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03 01		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
